

ნეშადური



№ 35

ქ რ ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი უ უ რ ნ ა ლ ი

№ 35

წლიურ ხელის მომწერთ სააღდგომოდ მიუვათ:

- ყველა გამოსული № №-ბი წამვანდელი და წარსული წლისა.
- ილია ჭავჭავაძის დიდი სურათი (ლიტოგრაფიულად ბრისტოლის ქალაქში დაბეჭდილი)
- „ნეშადურის“ კრებული (პირველი და მეორე წიგნი). | წლიური ფასი 5 მან.



მუშა ავადმყოფ უვილიან—როზენტალის ნახატი.

სამშობლო

სიბირიაკოვისა

მას სდევნიდნენ მისიანები.—ის კი იტანჯოდა მათთვის.—იგი ემსხვერპლა მათ.—

და აი ის მკრთალი, ძაძვით შემოსილი, დასე-
ბული მძიმე და სისიკვდილო წყლულებით, რომლებიც
არგუნეს იმათ, ვინც მას უყვარდა, ვისთვისაც იბრძოდა
და ამ სისრწარვეთილებაში მეოფე წა სდგა იგი იმიერ
მსოფლიოს მსაჯულის წინაშე.

„ვინ ხარ შენ?—ჰკითხა მას იმიერმა მოსამართ-
ლემ.—რათა ხარ შიშველ-ტიტველი? ნუ თუ ბედმა არ
კარგუნა ძალა, ჭკუა და ნიჭი?“

„ბედმა უხვად დამაჯილდოვა, მაგრამ უგულაფერი
უმსხვერპლე მათ, ვინც მე მეუფარდა... ჩემი ჭკუა გა-
ფუანტე კაცობრიობის გასაბედნიერებელ გზათა ძებნაში.
ნიჭი დამჭირდა ხალხისათვის, მისთვის სთანუბის კარ-
დასაცემათ; მხოლოდ ძალა ჩემი განადგურა სუსტთა
მფარველობაში, ძლიერთა წინააღმდეგ.“

„მამ აგრე? მტრები აღმოჩნდნენ უძლიერესნი, და-
გამარცხეს და შეგამკეს საშინელ წყლულებით?!“

„არა, ეს წყლული მარგუნა მშობელმა ხალხმა.
დამამარცხა ხალხის სიბნელები, და მომიხსნეს სიცოცხლე
მათ, ვისთვისაც ვიბრძოდი.“

„და, ესლა კი?.. მშობელმა მხარემ დაგათხა? და
შენი ერი კეთილის ხსოვნით დასტირის თვისი მეტრ-
ძლის დაღუპვის?“

„არა, სამშობლოში მწვეველიან, და ბრბომ დაცინ-
ვით სამარცხვინო არხში გადასრცლა გაციებული გვაში
ჩემი.“

„სიხანს, შენ არ გიცხოვრე თავისთვის, და გიხარ-
ჯავს ძალა, ჭკუა და ნიჭი უდიდეს სამშობლოსთვის. და-
გიმუშავებია მჭლე ჯეჯრლი. შენზედ ზეგარდმოცხებული
ნიჭი არ უნდა დაიდუმბოს. მან უნდა მოიტანოს ნულოფი.
ამოიჩინე ახალი სამშობლო, ახალი ხალხი, უფრო მდი-
დარი ნიადაგი. შენ უკანვე მიიღებ შენს სხეულს, ჭკუას
ნიჭს, და ღრმად ქრეული შეიძლებ იმუშაო უფრო გა-
ნოეიერებულ ჯეჯილზე.“

„იხილე და აიჩიე.“

და, ტანჯულის თვალთა წინაშე იწეეს ერთი მეო-
რის მიუფლით მიმცურვა სხვა და სხვა ქვეყნებმა,
მდიდარმა ქალაქებმა, ლამაზმა და კეთილ დღეობით
აღსავსე სოფლებმა და უხვმა მიწებებმა. იგი ხედიდა
ბედნიერ, მეტნიერებით და ცოდნის სხივებით გაკეთილ-
შობილებულ ერებს, რომლებიც ძეკლს უდგამდნ თვის
კარდაცვლილ მეტრძლთ და მოღვაწეთ, ზატოვის ცემით
და დიდებით აჯილდოვებდნენ ცოცხლებს, გონებრივ
მუშაობით, და იდეურ შთამბეჭებულთა.

ბევრმა, ბევრმა ქვეყანამ ჩაიარა მის თვალთა წი-

ნაშე, მაგრამ არც ერთს არა ხედა მისი კრწეხნი...
აი აგრე ბოლოს გამოჩნდა მისი სრული მადლობა
მოხრილის ფაცხებით, გამხმარ მტენარებით, მკრთალ
სახიან მცხოვრებლებით, სახრეების ტაცუნით, ბორკი-
ლების ჩხრიალით და ხალხის კვინსა-გავით.

დაინახა თავის საფლავი მიწასთან გასწორებული
ჯვარი თვისი განადგურებული, ჩაქვლილი, წარწერა
თავის სახელისა წვევა-კრუფვას მიბარებული.

დაინახა მან მტრები ხალხისა, რომლებიც დღეს-
სწაუფლობდნენ გამარჯვებს.

დაინახა ეს გულის-გასაგვირავი სურათი თუ არა,
ვერ მოითმინა სიმძაფრე-სისრწარვეთილებაში მეოფისა,
და დაიძახა: შეჩერდი! აღსარულე შენდა აღთქმულობა!
მე წავაღ ამა ქვეყანას...“

„კიდეგ იქ? მოიარე. განა არ იცი, რომ იქ გი-
ცდის ბრძოლა უწესრიგობასთან? მადლე, ძლიან მადლე
ხელ-მეორედ დაბრუნდები სამასხაროდ აგდებული, კრი-
ლობით დასახინებული, გლახაკს დამსგავსებული. გაე-
მგზავრე იქ, სადაც შეუძლიათ შენი დაფასება, საიდაგა-
ნაც შენ დაბრუნდები დიდებით და ღირსებით დაჯილ-
დოვებული!“


„არა! არ შეიძლება!.. ეს ჩემი სამშობლოა... ვე-
რ რა დიდებას და ღირსებაში ვერ გავსცვლი მე ჩემს
სამშობლოს! ეს ჩემი სამშობლოა, სადაც მე ადგიზარდე;
ეს ხალხი—ჩემი მოძმეა, რომელთანაც ერთად ვიტან-
ჯობდი. მათი ცხოვრების გასაუმჯობესებლათ საჭიროა
მრავალი მსხვერპლი. მე მათ ვესაჭიროები. იმათთან
წავაღ. მე მსურს დავანთხო ჩემი სისხლი ჩემსავე სამ-
შობლოში, თუ გინდა ხელ ახლად გავხდე მსხვერპლი,
არაფერია, მე მსურს ჩემ საფლავზე აშენდეს ტაძარი
სიამართლისა სავგარელ სამშობლოს ბედზედ ხალხისთვის.“

„აღსრულდეს სიტყვანი შენნი სამშობლოსათვის
თავ-გმწირულ ჭაბუკა! უმასუხა მსოფლიო მსაჯულმა.
წადი დავაწლზე. შენ ზარს დასტემ მოწინააღმდეგე ბრ-
ბოს. შენი ჭრილობები თვისით გამტოვლდებიან. ჯანი
და სხეული შენი არ მოხუცდება. ჭკუა და ნიჭი არ მო-
გაკლდება. და, მანამდის ვერ დაბრუნდები აქეთ, სანამ
შენი სავგარელი ხალხი არ დაადგება გზას ნათელისა
და ბედნიერებისა.“

სწორედ ასე მოხდა.

და დადის იგი თვის სავგარელ სამშობლოში: ჯაჭ-
ვებითა შებორკილი, ხან უჯაჭვოდ, ხან ჭრილობებით
დამახინჯებული, ხანაც სრულეთ. თ განკურნებულია; ჯალა-
თები მას აწვალდებენ—სტანჯავენ, მაგრამ მისი მოკვლა
არ შეუძლიათ. ძალ-ღონე მისი ამოდენ ტანჯვისაგან
სრულებით არა სუსტდება, ზირ-იქით მძლავრდება.

და დადის ის თავის სავგარელ თვალთ-უწვდენელ
სამშობლოში. და წერტილიდან—წერტილამდე ფულ-



რავს ქერქს ხალხის სიბნელისას, და ნაბიჯიდგან—ნაბი-
ჯამდე ჭკაფავს გზასა ნათელისას და ბედნიერებისას.
და თან და თან უახლოვდება; უახლოვდება ნეტარ
დღეს თავის ერის გამარჯვებისას.

დათიკო ჭიპაძე.

მე კი...

გაზაფხულია... ნაზი ბულბული,
თავდავიწყებით უსტვენს, ფთქრიალებს;
კულ-მაკრატელა ანცი მერცხალი
ცაში ჭიკჭიკით სცურავს, სრიალებს.

ქრელად მოქარგულ კორდების შუა,
ანკარა წყარო მოჭქრის, ჩქრიალებს;
ამწვანებულსა ხეებს ნიავე
თავზე ევლება და აშრიალებს.

ამ მელოდით დამტკბართა ხმები,
ყველგან გაისმის, ყველგან წკრიალებს...
მათ უხარიათ, სიამეს გრძნობენ,—
მე კი ცრემლები ჩამომწკრიალებს!..

...აი ქალაქი... მდიდართ სსახლზე,
ქალ-ელექტრონით გაბრწყინებული;
მუსიკის ხმები, დაფდაფთ გრიალი,
ცეკვა-თამაში გაცხარებული.

დიდი დარბაზი... მის შუა გულში,
სუფრა გაშლილი, აქრელებული...
მოქეიფენი გარს ახვევიან...
ვაკხ-ეროტია გამეფებული.

დარდი არა აქვთ... სადღეგრძელოს
ქიქა აღვსილი ირგვლივ ტრიალებს...
სიცილ-კისკასით სმენ, ნეტარობენ,—
მე კი ცრემლები ჩამომწკრიალებს!..

დარდი არა აქვთ, რომ იმათ გვერდზე,
ჩაგრული ხალხი ოფლით მიწას რწყავს,
მაგრამ სანაცლოდ შიმშილით კვდება,—
ამ დროს შემბრაღე ძვირად ვინმე ჰყავს...

არა ნაღვლობენ, ოდეს გაისმის
იმავე ტანჯულთა კენესა-ვაება,
დედათ ტირილი, ბევშვთა წივილი,
როს მტრების რაზმი მათ ევლინება...

დიახ, ყველა ეს ჩვენს ირგვლივ სუფევს,
ჩაგვრისა დროშა მალლა ფრიალებს
და ესტვრეტ რა ამას, გული მიკვდება,—
ცრემლებიც მიტომ ჩამომწკრიალებს...

სანამ ტვირთ მძიმე, ყველა ჩაგრული
არ მოიპოვებს თავის უფლებას;
სანამ არსებობს კენესა, ტირილი,
ფეხ-ქვეშა სთელენ თავისუფლებას

ვერ გავიხარებ.., დარდს ვერ გადმიყრის,
მერცხალთ ჭიკჭიკი, ბულბულთა სტვენა,

ვერცა მუსიკა, ქეიფ-გალობა,
ვერც მომბზინავი წყაროსი დენა,
...ველი ნეტარ დროს... მაშინ ჩაგრული
იგრძნობს, იგემებს ბედნიერებას;
სიამით გული აუძგერდება,—
მეც მივეცემი ტკბილ ნეტარებას!..

დ. ელიოზიშვილი.

ჩ ი ტ ი

უცხო ფრინველი მგალობელი გალიაში ზის...
პატრონი ჩიტის მდიდარია და დიახ ძვირად უზის
ამას ჩიტის მოვლა, იმის გალია. მგალობელს მთე-
ლი ოჯახობა თავსა ევლება. არვინ ინდომებს ჩი-
ტისთვის რაიმე ავსა.

მდიდარს ყავს შვილი ერთად-ერთი... იგი
ჯერ ჩვილი, ათის წლისა სულ თუ იქნება. ბაღ-
საც უგრძნობს ჩიტის გალობით სიამოვნება... ხში-
რად გამოაქვს გალია მას სახლის გვერდით უცხო
ბაღში, ხეზე დაკიდებს და სულ-განაბული ჩიტის
გალობას ყურს გულით უგდებს.

ერთს დღეს იმ ხეზე, საცა ეკიდა ჩიტი გალიით,
მეორე ჩიტი, დამწყვდეულის მეგვანე, მალხაზი
ისეთივე და ტკბილ-ხმიანი, მოფრინდა და შემოფ-
და ხის კენწეროსა. შემოსძახა ხმით გაბედულით
და ატკბობდა მიდამო არეს, მთასა, მდელოსა...

ტყვე-ქმნილმა ჩიტმაც ბანი მისცა თავის მოძ-
მესა.

გალობა დამწყვდეულისა თითქოს კენესით
შეხავებული იყო,—გოდებით... მოძმე კი მისი,
თავისუფალი, თამამად, რიხით გაჰკიოდა ზეციურს
ჰანგებს...

ბაღშია შენიშნა ეგ ჰანგების სხვა და სხვაო-
ბა:—თავისუფალი გამოძახილი გარედ მყოფისა და
ხმა მკენესარე გალიაში დამწყვდეულისა...

და გააღო გალიის კარი!

გამოფრინდა ჩიტი გალიით, აღტაცებული მი-
უხტა იგი თავისუფალს ძმას და ახლა ორთავ მორ-
თეს მარჯვე, ტკბილი ჰანგები...

ვაგლახ!

ხანგრძლივი არ იყო ეგ თავისუფლება... მა-
მამ დატუქსა თავისი შვილი თვითნებობისთვის, გა-
სცა ბრძანება... დაატყვევეს კვლავ ჩიტუნა, დაამ-
წარეს მას საბრალოს იგი ხან მოკლე თავისუფლე-
ბა, დაამწარეს რაც რომ იხტუნა.

კვლავ მოისმის გალიიდან ჩიტეს მკენესარე,
ნაღვლიანი ხმა... ჟინი მოიკლა მამა მოხუცმა...

მაგრამ პატარა, შვილი მოხუცისა, განა დატ-

ხრება?... დღეს ზამთარია!... მალე დადგება...
მოელის გამოზაფხულსა, ოდეს ბუნება კვალად გა-
მართავს ღონის და ფერხულსა... მოელის მშვენი-
ერს დასა...

კვალად გაუღებს იგი ჩიტუნას გალიის კარს!

თომა პუსა.

ვირი და ბულბული

პაროდია ნ. ტარნოვსკისა.

(გუძღვნი მწერლობის თავისუფლებას)

ერთხელ ვირი ბულბულს შეხვდა
და უთხრა მას: მეგობარო,
გამიგონე რასაც გეტყვი,
კარგათ ყური მომაპყარო!
ამბობენ, რომ ვითომც შენ ხარ
მგალობელი დიდებული,
მსურს გისმინო, რომ გამოვსტყვა
ჩემი აზრი დიან ბრძნული!
გამოცდილი მსაჯული ვარ,
კარგათ მესმის ხელოვნება,
სმენა უცხო, სანაქებო,
უფრო უცხო გემოვნება!
კარგს მგალობლებს მე ბევრს ვიცნობ:
თუთიყუშებს, კაჭკაჭებსა,
მერცხლებს სხვა და სხვა ჯიშიშას,
მამლებს ათასნაირებსა!
მაგრამ შენ კი, სამწუხაროთ,
აქნობამდე ვერსად შეგხვდი,
იგალობე, ნუ გცხვენიან,
გაბედვეი გასაბედი!
მის პასუხათ აქ მგოსანმა
გრძნობიერათ დაიმდერა,
დაპკრა თამამ ჩანგის სიმებს,
ათართოლა, ააქდერა!
ეს სიმღერა იყო ტკბილი,
ანთებული, აღზნებული,
თავისუფლება მკვნესარი
შიგ ჩართული, ჩახლართული!
ყველა ყუჩობს, უსმენს მგოსანს,
გულ-გაშლილი არე-მარე,
მხოლოდ ვირსკი სახეხედა
მოერია სიმწუხარე!
შუბლი მიწას დააბჯინა,
ყური ყურსა მიატოლა
და მსაჯულმა განჩინება
წყნარათ, დინჯათ მოაყოლა:
„ჭვალობ კარგათ,—უთხრა ბულბულს,
თითქმის კიდევ კარგზედ კარგა,

მაგრამ რაღაც მეექვება,
მგონი კილო არ გივარგა! **მეცხველი**
შენი ხმაა, დიან ტკბილი, **ბიბლიოთეკა**
მგრძნობიარე, აღზნებული,
მხოლოთ აზრი სიმღერისა
ვიცი როა აღკრძალული!
შიგ „კრამოლა“ ურევია,
თუმც იძახი ტრია-ტრიას,
„გარადოვოი“!!! ეს მგოსანი
გადაეცი პოლიციას!
იქ კი ჩემო, მეგობარო,
გაარჩევნ შენს აზრებსა,
ყველა მათთვის მოსძებნიან
მუხლებსა და კანონებსა!

ღმერთო, ღმერთო, აგვაცდინე
ამგვარ ჯიშის მსაჯულებსა!

ი. ევლოშვილი.

მ ო ქ ლ ვ ა რ ი

ოსკარ უალდისა.

(ლევ ტალსტაის საიუბილეოდ)

როდესაც ეწია ბნელი ქვეყანას, ჩამოვიდა იო-
სებ არიმათიელი მთიდან ველად, ანთებულის კვა-
რითა, რადგან საქმე რამე ედვა სახლსა თვისსა.

გზაში შეემთხვა ჭაბუკი, რომელიც იყო ში-
შველი და მუხლ-მოყრით იდგა მტირალი ქვიანსა
ველსა სასოწარკვეთილებისასა. თმა თაფლის ფერისა
ჰქონდა და ტანა ვით სპეტაკი ყვავილი, თუმცა
ბევრგან დაეკოდა. თავს ნაცარი დაეყარა და ნა-
ცარი თავზედ გვირგვინად აჩნდა.


და უთხარ მან, პატრონმან დიდისა ქონე-
ბისამან, ჭაბუკსა მას შიშველსა და მტირალსა: „არ
მიკვირს დიადობა მწუხარებისა შენისა, რადგან
ქეშმარიტად კაცი იგი იყო მართალი“.

და მიუგო ჭაბუკმან: „არა ვტირი კაცსა მას,
არამედ თავსა ჩემსა. მეც გარდამიქცევია წყალი
ღვინოდ, მეც განმიკურნავს კეთროვანნი და ბრმა-
თათვის თვალნი ამიხილებია; მეცა მივლია წყალ-
თა ზედა და განმისხამს ეშმაკნი ეშმაკეულთაგან,
რომელნიც გამოვიდოდეს საფლავებისაგან. მეც
გამიძლია მშიერნი უდაბნოსა, სიდაცა არ იყო საზრ-
დელი და მკვდარნი მკვდრეთით აღმიდგენია. ჩე-
მის ლოცვით ამწვანდა წინაშე მრავალსა ერსა ლე-
ღვის ხე. ყველა რაც მას უქმნია, მიქნია მეცა.
და მაინც მხოლოდ მან ჰპოვა ბედნიერება; მაინც
არ ჯვარმაცვს მე...“.

რიშ ბაბა.



მ უ შ ა ს



ეს-დეკ, შესდექ!

გოტედან!

მალალ მინის მწვერვალებსა
ლამის წყვდიადი ჰხურავთ;
და მშვიდსა ღელეებსა
თივთიკა ნისლი ჰბურავთ;
მტვერა არ ასდის გზასა,
ფოთლებიც არ ინძრევა...
მოიცა ცოტა ხანსა,
შენც გზედება დასვენება!...

თარგ. დ. ნ—შვილისა.

ს ა დ ლ ე მ რ ა ქ ე ლ ო

მას არ ვუსურვებ მე დღეგრძელობას,
ვინც არ კადრულობს დღეს ჩემთან ძმობას,
ვისაც ჩემსავით არ სწამს იმედი,
რომ ჩვენ ქვეყანას მოელის ბედი!...

მას არ ვუსურვებ მე დღეგრძელობას,
ვინც გულში ჰფარავს ძმებთანა მტრობას,
ვინც არ უტყბადებს მათ ერთგულებას—
საქმით არ იჩენს მათთან გამირობას!

დღე გრძელი იყოს მხოლოდ ის კაცი.
ვინც ყოველი დროს არის მამაცი—
ვინც სამუდამოდ კაცს ძმად არგია
და საერთო მტერს ხვდება წინ მედგრად!..

კონ. ნიკოლაძე



რას სდუმხარ მუშავ? ნადვლით სავსე, მკმუნ -
ვარი სახით?

რას გაჰყურებ შორს, ცას საზარელს, ცას მოქუ-
შულსა?

რატომა კრთები მის ცეცხლ - მტრქვეველ ქეკა-
ქუხილზე

შიშით რას ვასცქერ ჯოჯოხეთურ ბნელეთ უფ-
სკრულსა?

ქარიშხლის ქროლვა მის სისინი თავ-ზარს
რათა გცემს

და რათ გიღვიძებს ამა ქვეყნის არარაობას?
ტარტაროზების სიმკაცრისგან შეშფოთებული,

იმედს რათ ჰკარგავ, რათ უგზავნი შენ მოძმეს
გმოზას?

არა ძმობილო! ეს სილაჩრე მუშას არ შევ-
ნის!

მუშას მრისხანეს, მუშას ძლიერს, შეუპოვარსა,
მუშას, რომელიც სასოებით ეტრფიელება

თავისუფლებას მოკაშკაშეს, სწორუპოვარსა.
არა და არა, მარტო კენესით, მარტო გოდე-
ბით

შემხუთველ ტანჯვას ვერ აიცდენ, ვერ მოიფონებ
და ისე ჩახვალ სამუდამოდ ცივ სამარეში,

რომ ერთ დღესაც კი განვილილს ღვინში ვერ მოი-
გონებ.

დ. თურდოსპირელი.

მშობელი შობილს.

(სამშობლოს მიმართვა კარლსადმი)

შენ გეტრფი მარად! ცხადად, ძილში, შენ
მელანდები;

ვით ცის მნათობი ბრწყინავს შენი ნიჭი დიადი!
ძე-კაცთა შორის იდეალად შენ მესახები,

შენგნით მეღირსვის ბნელს ჯურღმულში მყოფს
განთიადი!

შენ მომანიჭებ საარაკო თავისუფლებას,
შენ გამალადებ, ტურფად მშობლურს მკერდს

დამხსნი მონობას, დაუსრულსა ტანჯვა-განას,
ამ მოძულეულს სიცოცხლესა კვლავ შემაყვარებ

მხოლოდ შენ ერთის, დიდ მარტოს ძეგლს
ით მდიდარო,

შენ შეგავედრებ გაწამებულს, დატყვევებულს სიცილს
კვლავ აღმადგინე მკვდრეთით, ჩემთვის მსვე

რომ ჩემ სიამით შენც მიეცეინეტარს სიხარულს მნიშ
ეგ მკვდარო, აბღძენ

რომ ჩემ სიამით შენც მიეცეინეტარს სიხარულს მნიშ
ეგ მკვდარო, აბღძენ

რომ ჩემ სიამით შენც მიეცეინეტარს სიხარულს მნიშ
ეგ მკვდარო, აბღძენ

რომ ჩემ სიამით შენც მიეცეინეტარს სიხარულს მნიშ
ეგ მკვდარო, აბღძენ

მედიკოსისა და ხელოვნების გარემო

ჟურნალი „განათლება.“ გამოვიდა მეორე წიგნი „განათლებისა“ ლუარსაბ ბოცვაძის რედაქტორობით. მეორე წიგნი უფრო საინტერესოდ არის შედგენილი, განსაკუთრებით მიმოხილვანი. უქვევლია „განათლებას“ ქართველი მკითხველები ხელს შეუწყობენ და ეცდებიან ჟურნალს შესაფერი ბაზარი მოუპოვონ, რადგან „განათლება“ ამ უმად ერთად ერთი ორგანოა, რომელსაც ნამდვილი ლიტერატურული და მეცნიერული ხასიათი აქვს და ფასიც ყველასათვის ხელმისაწვდომია, წლიურად ღირს 5 მ. ცალკე წიგნი კი ათი შაური.

„ჩვენი ქვეყანა.“ მივიღეთ მესამე ნომერი ყოველ კვირეული პროფესიონალური გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ ყ. ნინიძეს რედაქტორობით. გაზეთი საინტერესოდ არის შედგენილი, თუმცა ცალ მხრივად. ნომერი ღირს შეიდი კაპიკი და შეიცავს 16 გვერდს.

ახალი ბროშურა „სიცრუე“. ბ-ნი პ. აკობია სისტემატიურად განაგრძობს ჩვენებური „სოც. დემოკ.“ ცრუ მოძღვრების კრიტიკას. მისი უკანასკნელი ბროშურა „სიცრუე ანუ სოციალდემოკრატიამ მოატყუა ხალხი“ ჩვეულებრივის სიმარტივით და დასაბუთებით არის დაწერილი და ადვილად იკითხება. ღირს მხოლოდ ერთი შაური.

მეტერლინკი ქართულ სცენაზე. საფრანგეთის ცნობილი მწერალი, დრამატურგი და პოეტი მორის მეტერლინკი დიახაც საინტერესო ნოვატორია დრამატიულს ხელოვნებაში. მისი პიესების დადგმა სცენაზე რაღაცნადაც სასურველია, იმდენად ძნელია და მოსაწყენი. ევროპაში და რუსეთში „სამხატვრო თეატრმა“ (სტანისლავსკისა) უკვე მოსძებნეს ახალი ფორმები და მოახერხეს მეტერლინკის წარმოდგენა. თუმცა იქაც კი ვერ ახდენენ საიმისო ზედგავლენას მაყურებელთა უმრავლესობაზე—მასსაზე. მეტერლინკის პიესებისთვის განსაზღვრული აუდიტორიაა საჭირო.

ამას წინად ჩვენი ნიჭიერი მსახიობის ნინა ჩხეიძე-ქორიძისას მეცადინეობით დადგმულ იქმნა ქართულად მეტერლინკის „და ბეატრისა“. ადგილობრივი პრესა, როგორც ქართული ისე რუსული აღტაცებულნი დარჩნენ, როგორც წარმოდგენით ისე მსახიობთა ხელოვნებით, ხოლო დამსწრე საზოგადოება, რომელთა უმრავლესობას ქართ. გიმნ. მოწაფენი შეადგენდნენ,—ღღესაც ვერ გამოორკვეულა და ნაღვლიანად გაიძახის: რისთვის ან ვისთვის ადგენენ ამ გვარ სიმბოლიურ აბღაუბლას, როგორც „და ბეატრისა“ არისო!.. ჩვენ ვერ ვიტყვით ვინ უფრო მართალია—რეცენზენტები თუ დამსწრე და მაყურებელნი, ხოლო რაც შეეხება მსახიობთა ხელოვნებას, სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ნ. ჩხეიძე საუცხოვო იყო ყველა მოქმედებაში და მას მხარს უმშვენებდა ბ-ნი კოლხიდელი... ჩვენ იშვიათად გვინახავს ისეთი ბედნიერი შეერთება ნიკისა, ტემპერამენტისა, გრძნობისა,

ხმისა და დიქციისა, როგორც ეს დამსწრე მწიკი კოლხიდელს. სწორედ დიდი განძი იქნება ქართული და მომაკვდავი ქართული სცენისთვის ბ-ნი კოლხიდელი, მით უფრო რომ მის თამაშობის შეგნებას აშკარად ეტყობოდა ინტელიგენტობა, განსაკუთრებით კინაკისრი როლის „ინტერპრეტაციაში“.

ღმერთო, შენ მოხედე ჩვენს თეატრს და არ მოაკლო მას ინტელიგენტი მუშაკნი და ქირისუფალნი!..

„დამარცხებულნი“ თუ გამარჯვებულნი. ამ კვირას ქართველ მსახიობთ წარმოდგინეს ირეთელის 5 მოქ. პიესა „დამარცხებულნი“, რომელიც „აზრში“ იბეჭდებოდა. უკაცრავად კი ვარ ბ-ნ რეჟისორთან, მაგრამ არ ვიცი ვინ არის ბოლოს დამარცხებულნი: ავტორი, მსახიობნი თუ მაყურებელნი? ეს კი არის, მსახიობთ პიესა კარგად „გაითამაშეს“.

ახირე ული დავა. მკითხველებს ეხსომებათ, რომ სევდის ბროშურას „ახალგაზდა მსახიობმა“ შესაფერი წერილი უძღვნა. ამ წერილზე არა ბ-ნმა სევდამ არამედ ნ. ჩხეიძემ პასუხი გასცა ახალგაზდა მსახიობს და მას ფაქტების დამახინჯებას აბრალებდა. ახალგაზდა მსახიობმა თავის პასუხში დამახინჯებული ფაქტები გაასწორა. ჩვენ გვეგონა, რომ საქმე ამით გადავდებოდა, მაგრამ... ეხლა ნ. ჩხეიძე იწვევს ახალგაზდა მსახიობს სამედიატორო სამართალში. რა უნდა გაარჩიოს სამართალმა? ეგ ალბად არც მედიატორებმა იციან! ახირებული დავა თუ გნებავთ, სწორედ ეს არის.

მწიგნობარი.

ა წ მ ე ო

კვლავ ოხერა-კვენესა, ტანჯულთ გოდება, ჩაგვრა მონისა, ისევ წამება...

წყლულსა გულისას აღარ ეღირსა არც განკურნებ, არც დაამება!

გარს შემორტყმული მძიმე ბორკილი ერთგვარად გრგვინავს, გმლის ჟრუანტელი. საითკენც წახვალ—ძვრა აღარ არის— ჩამოგეშვება უმწეოდ ხელი.

შეებრძვი მტერსა შეუბრალებელს, მაგრამ იელვებს ხელში ლახვარი და შენსა სურვილს, წმინდა უფლებას შთანთქავს და წარღვნის სისხლისა ღვარი..

გაუკითხავად, შეუჩერებლივ სისხლი უმანკო აღარა სწყდება...

სულთამხუთავო, სისხლის მწყურვალი ასპიტი გული როდის გაძღება?

არ უღებ საზღვარს შენსა ცოდვებსა შეუწყნარებელს. ახალს და ძველსა... მარქვი, ავსულო, აღარ იკმარებ, ბოლო არ უჩანს შენს სატანჯველსა?!

ღმნა მროველი.

ტუსალის ლილინი

სისასტიკით ქარიშხალმა
დაუბერა მწყრალოდ, ქუშად
და საბრალო ხალხში მეცა
არ გამიშვა ერთგულ მუშად!
სამ წელწადს ბნელ ციხეში
ცხარე ცრემლი მადღრევენა,
არა როდეს მწყურვალს ნებით
წყალი არ დამალევენა!..

მაინც ველი განთიადსა,—
წამოდგებიან გლეხები...
და უმალ, მხარევე, მოვმართავს
ბორკილ ნაგვემი ფეხები.
მოვირბენ შორით მწყურვალი,
შენ წყაროს დავეწაფები,
მაშინ ზეციდგან გინდ რისხვით
თავზედ დამატყდეს მებები!..

აღარც ვინაღვლი სიკვდილსა,
როს მოძმეს დავენახვები
და სადაც დავბადებულვარ
იქავე დავიშარხები.

როდესაც, ტურფა ქვეყანავ,
შენ მიაკვანებ გულითა,
მკვდარიც დავწვები მოძმესთან
აღსაფსევ სიხარულითა!

განჯის ციხე. **ტუსალი პავლე.**

ჩვენში როდი გამოდგება

ივანიკა. გერმანიაში თურმე რამდენიმე უნი-
ვერსიტეტს ცალკე ფაკულტეტი გაუხსნია განსა-
კუთრებით ჟურნალისტების გამოსაზრდელათ. კარ-
გი იქნებოდა ერთი მაგისტანა ფაკულტეტი ჩვენი
ჟურნალისტებისთვისაც ყოფილიყო.

ნინიკა. ჩვენში როდი გამოდგებოდა... პრო-
ფესორებისაგან ტევა არ იქნებოდა, სტუდენტი კი
ერთიც არ ეყოლებოდა.

უსაქმოდ დარჩენილი

მკითხვენ: რამ დავაღონა, სახე რამ მოგიხუშა?
— განა არ იცი თინა ვარ?—მე ვარ უსაქმო მუშა!
ლუკმა პურზე ჯანს ვყიდი, მაგრამ არვინ იყიდა,
საქმეს ვერსად ვმოულობ. ტანჯვა მით გაძიდიდა...

ამხანაგსაც მივმართე, რომ ნუგეში მოეცა,
მაგრამ მასაც ჩემსავით აღარსწყალობს დღეს ზეცა.
სასოწარკვეთილებით მოკეთესთან მივედი,
მანაც უსახსრობითა გამიქარწყლა იმედი...

ისევ ქუჩას მივმართე, ეს არის ჩემი ბინა.
ვინც ჩემსას არ გაიგებს, ღმერთმაც კი შეარცხვინა.
ეხლაც მკითხავთ: რად ნაღვლობ, სახე რამ მოგიხუშა?
— გაიგეთ, რომ უსაქმოდ დავრჩენილვარ დღეს მუშა!

გერი.

კიდევ ორსულთა კასების გამო

ბევრი ცოლ ქმარნი გაიყარნენ, ბევრი დედა
და და შვილს და ძმას მოსძულდა, ბევრი ნათლი-
დედ ნათლი-ჯალაბნი აირივნენ, ბევრი მეზობლები
ერთმანეთს დეერივნენ, ბევრი მტერ-მოყვარე ერთ-
ერთმანერთზე აცინ-დააღონა და სხვა...

ბევრი კუდიანი დედაკაცი, რომელთაც გათ-
ხოვების შემდეგ კარში სულაც არ ღირსებით გას-
ვლა, ამ კასებმა გამოამხევენეს და კონკით გასეირ-
ნებაც ეღირსათ, მაგრამ იათად არ დაუჯდათ, ისევ
შინ ჯდომა ერჩივნათ.

ბევრი მყრალ-მიგდებულ-უპატრონო ქუჩები,
რომელთაც მთელს დღეს არავის შეხვდებოდი,
ამ კასების დროს მთლად აივსო.

უწინ თუ ეკლესიის დღეობების დროს ნახავ-
დით გაღავანს გატენილს მლოცველებით, ეხლა
ფარეშოვს-სტუდენტ-ყიფიან-ქათარაძეს-ადამოვის ეზო
ებს ნახავთ გაქედილს აუარებელის ხალხით.

ხალხმა გაიგო რა ეკლესიების, ხატების და
მღვდლების ავ-კარკი ვადგა განზე, წვევრებმა რა
გაიგეს ფარეშოვებ-ყიფიანების გაიძვერობა და მოტ-
ყუილება ხელი აიღეს და დაჰგმეს იმის გაჩენის დღე.


ქრისტე მაცხოვარს არა რა ებადა გარდა თა-
ვის სამოსლისა, მდიდრებს სულ იმას უქადაგებდა,
გაეყიდ თ და დეერიგებინათ ღარიბ-ღატაკებისთვის,
ფარეშოვს მიუღია მაცხოვრის რჩევა, ფართლეთუ-
ლობას ჰყიდის დასარიგებლად რათა იცხონოს თა-
ვი თვისი.

უწინ სიმართლის გულისთვის მთავარდიაკვანი
სტეფანე ჩაქვავეს, ეხლა კი მოტყუილებ-გაიძვე-
რობისთვის კასების წვევრები უპირობენ ამასვე.

ქვეყანა გადაბრუნდა, დროებაჰაც პირი იცვა-
ლა, კასებმა უფულო ფულიანი გახადეს, ფულია-
ნი კი უფულო.

შეეწიოთ კასის წვევრებს მადლი წმიდათა ღი-
რსთა მამათა და დედათა ჩვენთა, ფარეშოვის ღიბი,
სტუდენტის ნაწილ ამოდებული (ჩოფურა) სახე,
ყიფიანის წამოხურული სერი ნიკოლაევის შინელი,
ქათარაძეს წარმოსადგენი ვაჟაკობა და ადამოვის
გაწეწილი კავი... ამინ!

წვევრთაგანი პ. მ—ძე.



თავისუფლება და ძალმომრეობა — ბოდენის ქანდაკი.



გაკვეთილები პეტარდების მოსამზადებლად.

მ უ ხ ა მ ბ ა ზ ი

(ვუძღვნი ია ეკალაძეს).

„ეშაკისგან“ წიხლი ვის ეწყინება,
რადგან იგი პირუტყვია, ნაღირი...
იალაღვია გაშვებული თვის ნებად
და არა აქვს დასაქერი აღვირი...

თვით არ ესმის, რასა ბლაჯნის რას არა
ავს და კარგსა სულაც არ აკვირდება...
საბრალოა ვირ-ემშაკა, ცანცარა,
როცა იგი ყროყინით აყვირდება!

„შიქასტას“ რომ გაათავებს „ეშაკი“
მერე ისერის განურჩევლად წიხლებსა
ეს მასხარა უკბილო ლაწირაკი

ცილსა სწამებს მოღვაწეთ და მწერლებსა,
ნუ დასძრახავთ—ის „რიფმაჩ-პოვეტია“
როცა გლანძღავთ პირზე ღორბლ მორე-

ული,
ბუნებითა უტვინო და ცეტია,
შურ-ღვარძლისგან სულ მთლად გადა-



რეული!..
დღე-ღამ შფოთავს, სინათლე ეჯავრება
ვით ბაღლინჯო ჰყარს და თან იკბინება,
უსირცხვილოს გინება ემარჯვება...
„ეშაკისგან“ წიხლი ვის ეწყინება!..

ტაქტიკა, მაშ!

ფირუზ.— აქაური სოციალ-დემოკრატები იძა-
ხდნენ, პატრიოტები ხულიგანები არიანო; ახლა კი
თითონ გიმოტყდნენ, ნამდვილი პიტრიოტები
ჩვენა ვართო. აზირ თქვან, ნამდვილი ხულიგანები
ჩვენა ვართო?!

დარჩო.— ახარ, სულ ერთბაშად ხომ არ იტ-
ყვიან!.. კევიანმა კაცმა ყველაფერი თავის დროზე
უნდა თქვას.—ტაქტიკა ფირუზ-ჯან, მაშ!





„კავკასიის სასოფლო-სამეურნეო“ საზოგ. ზრეზიდუმი და სეკრეტარის აჩვენებები.

ქართველი მწერლები



ია ეკალაძე

ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) დაიბადა 1872 წელს, 25 მარტს, სოფელ ციმისში, ნარის ხეობაზე (ოსეთში), სადაც მამა მისი ამ დროს მღვდლათ იყო. პირველ დაწყებითი სწავლა მიიღო ოსეთში, ს. ჯავის სამრევლო სასწავლებელში, გიორგი ჩაგუნავას ამ შკოლაში. მასწავლებლობის დროს აქედან ია ეკალაძე 1881 წელს მიაბარეს გორის სასულიერო სასწავლებელში. ჩვენის ბელეტრისტის სოფრონ მგალობლი-შვილის მეოხებით გორის სასულიერო სასწავლებელში მოწაფეები დიდის ხალისით ეკიდებოდნენ ქართულ მწერლობას და სასწავლებლის მეოხზე კლასში ერთმა ჯგუფმა შიო

ჩიტაძისა და ია ეკალაძის მეოხებით დაიწყო ხელთ-ნაწერი ჟურნალის გამოცემა. რედაქტორობდა სოფრონ მგალობლი-შვილი. 1887 წელს ია ეკალაძემ დაასრულა სასულიერო სასწავლებელი და გადმოვიდა ტფილისის სასულიერო სემინარიაში. აქაც ლიტერატურის შესწავლას მიჰყო ხელი და რამდენიმე ხელთ-ნაწერი ჟურნალი გამოვიდა ია ეკალაძის თანამშრომლობითა და რედაქტორობით. 1893 წელს, დეკემბერს, სემინარიაში მოხდა მოწაფეთა ამბოხება და ია ეკალაძე ერთი პირველთაგანი დაითხოვეს. ღარიბი და უჩინარი იგი დიდ გაპირვებაში ჩაგრდა, ვიდრე დავით მიქელაძის (მეველეს) შემწეობით „ივერიის“ რედაქციას თავი არ შეაფარა. პირველი მისი მოთხრობა „ილიკო ბედენაძე“ დაიბეჭდა „ივერიაში“ 1904 წ. ენკენისთვეში. 1896 წელს „ივერია“ დახურეს ია ეკალაძის მოთხრობის დაბეჭდვისათვის, (სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდან) ხოლო 1897 წელს მარტში მოთხრობა „რას იცინისათვის“ მთავრობამ „გააციმბირა“ და საცხოვრებლად მიუჩინა ქ. ლენქორანი. აქ მან ცოლ-შვილით ორი წელიწადი დაჰყო და ისევ თბილისში დაბრუნდა და კერძო სამსახურით სცხოვრობდა. ია მსახურობდა რედაქციებში, რკინის გზაზე, „კამპანია ნადეჟაში“ და სხვა. დიდი გაპირვებით სცხოვრობდა ია ეკალაძე მაგრამ უმალეს სწავლის მიღების სურვილი კი მაინც დიდი ჰქონდა და 1906 წელს კიდევ მიადწია თავის სურვილს. იგი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში, სადაც ამ ჟამად იმყოფება.

ია ეკალაძეს ბელეტრისტული ნაწერები იბეჭდებოდა ყველა ქართულ ჟურნალ გაზეთებში, მიუხედავად პარტიული მიმართულებისა, ხოლო როცა სოციალ-დემოკრატებმა ძალიან ვანზე ბაიწიეს, მათ გაზეთებში აღარა დაუწერია-რა.

იას მამა, თომა ცინცაძე გადმოსულია გურიიდან სოფ. ციხიდან (ჩოხატაურის მაზლობლად), დედა ქართლელი ქალია და იაც სამუდამოდ სცხოვრობს ქართლში, რომელსაც ძლიერ კვიგად იცნობს. იამ კარბად იცის ოხური ენაც და საშხრეთ ოსეთშიაც ყველანი კარგად იცნობენ. ნამეტნავად დიდი მადლობელი დარჩნენ 1906 წლის მის ქართლსა და ოსეთში მოგზაურობის დროს, როცა ეგრედ წოდებულ „განმანთავისუფლებელ მოძრაობამ“ სწორ გზას გადაუხვია ვინგინდარა ჭირისუფლებისა, ბიჭბუჭა პროპაგანდისტებისა და სხვა მამვარი კუჭისტების მეოხებით სოფელი მთლად გაირყვნა, ძალი პატრონს აღარ სცნობდა და უმერცარ და უეც გითომდა მარქსისტებმა ისეთი დიქტატურა გასხატა-

ნეს რომ, ხალხი ერთხმად ისევ ბატონ-ყმობის დროთა დაბრუნებას ნატრობდა...

ია ეკალაძეს, რობორც ბელეტრისტს და მწერალს ახალბაზდა მწერლებში საუკეთესო და საპატაო ადგილი უჭირავს და დღესაც სახელოვნად მანაგრძობს თავის საყვარელ ხელობას—ჩვენი დუხჭირი, უფერული და უილაჯო ცხოვრების ტიპიურ დასურათებას.

იას ზოგი ნაწერები ამ ორის წლის წინად ცალქე წიგნად მამოიკა და საზოგადოებას და მწერლობას სიხარულით მიეგება ახალგაზდა მწერლის ნაწერებს.

ეჭვი არ არის ია ეკალაძე უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ გაათქვამების სიმძნებით და დაუშრეტელის წყურვილით შეუდგება ხალხისა და ქვეყნის სამსახურს მწერლობისა და პუბლიცისტურ ასპარეზზე.



„სოციალისტა“

- ამხანაბო! მოგვილოცავს თქვენი ბაბენიერება...
- რომელ ბაბენიერებას მილოცავთ?
- ცოლის შერთვას!
- რას ამბობ, კაცო, რომელი ცოლი?..
- მაშ ის ქალი ვინ იყო, შენთან რომ დღე და ღამ იყო?!
- დაიცა, შენ რომელ ქალზედ ამბობ, აი იმ მარუსაზე? ის ხომ კაცო „სოციალისტა“ ბრძანდება! როდესაც კრებიდან შინ წასვლა მოუგვიანდებოდა ხოლმე, ღამეს ჩემთან ათენებდა!

სარიდონ.

„შეგნება“ და „განვითარება“

- მაკო.**— ჩემი ელცაბედაი, მითხარი, რას ქვია შეგნებასა და განვითარებას რო იძახიან ახლა?
- ელც.**— შეგნება და განვითარება ჭკუის სწავლა არის.
- მაკო.**— ჯერედ არის ვინმე ჩვენ სოფელში, შეგნებული და განვითარებული ქალი?
- ელც.**— ეკაიეს ქალიშვილი!
- მაკო.**— ეკაიეს ქალიშვილი არ იყო „ბუში“ რომ გააკეთა გუშდამ?
- ელც.**— რა უყოთ მერე, ჩვენ გვეტოშება თვარა იგინში აფერი სირცხვილი არ არის „ბუშის“ გაკეთება, ჩემო მაკო.
- მაკო.**— მერე აზიო ქალო „შეგნება და განვითარება“?!
- ელც.**— სწორედ... უსირცხვილობა და უნამუსობა მეისპობა, როცა „შეგნება და განვითარება“ ჩადგება ხალხში!

ბიშტ.

ყურმოკრული საზოგადოებრივი გიგლიოთიქა

- მართალია, სოციალ-დემოკრატები ავად არიან?
- რამ გაგაგიქა! ავად კი არა მუდამ დღე ყვირიან და წივიან!..
- მაშ ყურები ბამბით რათ აქვთ დაცობილი?
- ჰოჰ, ეგ ავადმყოფობით კი არ მოსდით, არამედ დემაგოგობით: ჩვენი სიტყვა ყველამ გაიგოს, სხვებისა კი ჩვენ არ გავიგოთო!
- ნეტა ის დალოცვილები ყურების მაგიერ პირებს დაიცობდნენ...


პროვინცია.

თელავი. „ოტელო“ ხომ „ოტელოა“ ყველა-საგან ცნობილის, სახელოვან შექსპირისა, მაგრამ სულ სხვაა „თელაველი ოტელო“ ბენაშვილისა. კულტურა ხომ კულტურაა, მაგრამ სულ სხვაა თელაური კულტურა.

ბევრსა ჰგონია ხალხის კულტურა გრძობა-გონების განვითარება დაწინაურებაში გამოიხატება და საზოგადოდ პროგრესიულ წინმსვლელობაშიო. თქვენც არ მომიკვდეთ, ჩვენებური თელაური კულტურა სხვაა.

რაც თელავში ახალი მამასახლისებია, ჩაფრები და შეიარაღებული სტრაჟნიკებია, მათი აქცენებ-ჩაქცენება, გაქცენებ-გამოქცენება, ეს მიმოსვლა, მოძრაობა, ქოთქოთი, ხარკების საჩქაროდ აკრეფა, ხალხის ცემა-ტყება, განურჩევლად წლოვანობისა, დარბევა და აწიოკება, ქალების გაუპატიურება, ნუ თუ ყველა ამის თქვენ კულტურას არ ეძახით? (ახალ მამასახლისებს ჯერ-ჯერობით სხვა კარგი არა გაუკეთებიათ რა).

აიღეთ ახლა მკვლელობანი. რომელი ქალაქი გნებავთ რომ მკვლელობაში თელავმა არ გაუსწროს. სატახტო ქალაქებიც კი ჩამორჩებიან ჩვენს თელავს და მის მიდამოებს. მაშ ეს რა არის, თუ არ კულტურა? გავგიგია, წავგიკითხავს, რომ ამა და ამ ადგილს ეს და ეს მკვლელობა მოხდაო: ცხენით მიმავალს თოფი ესროლეს და გადმოაგდეს, ან კიდევ ქუჩაში მიმავალს წამოეწივნენ და ბრაუნინგებით ანუ მაუზერებით თავი დაუსხრილესო. ეგენი სულ არაფერია, რადგანაც ეგენი ჩვენც გამოგვიცდია და ჩავვიდენია კიდევ. მაგისტანა მკვლელობის ჩამდენთ, ჩვენ „მშიშარა შვილებს“ ვეძახით, ჩვენ კი მკვლელობის დროს ახალ მეთოდს ვხმარობთ: მივალთ ესე აშკარად, დღეა თუ ღამე. მი-



ვალთ პირდაპირ წავაგვლებთ ხელს, გამოვქრით და-
 ნით ან ხანჯლით ყელს, ჯეილია თუ მოჭუცია,
 მბღზღარია, ავია თუ კირგია, მტერია თუ მოკე-
 თეა, ღირსია თუ არა,—ეგ სულერთია! ჩვენ განუ-
 კითხველი ვართ. აი, ამას ჩვენ ვაყვაცური და რა-
 ინდული მკვლევლობას ვეძახით, თორემ მიპარვა
 რა? მიპარვა ძალღსაც შეუძლიან! ვიცი, დაცინ-
 ვით მეტყვიან: რას მიედ-მოედები, ეს კულტურა
 კი არა—მხეცობაა! მაგრამ უკაცრავად თქვენთან;
 აბა ერთი დამისახელებთ, რომელ მხეცთა ცხოვრე-
 ბაში ნახავთ იმას, რაც ჩვენში ხდება. მხეცს ვინ
 მისცა ეგოდენ უღმობელობა, ეგოდენ სივერანე,
 ეგოდენი სიმკაცრე, რაც ჩვენშია!

და ამას ზოგიერთნი „კულტურას“, ცივილი-
 ზაციას ეძახიან. აფსუს!

კულტურა.

გორი (გასართობი და თავშესაქცევი). ღრმა სა-
 ლათის ძილით შეგპრობილს გორის ინტელი-
 გენციას გამოღვიძებია, ხელიხელს გადაუხვევიათ
 ქართველებს, ოსებს და სომხებს და იღვწიან სა-
 ერთო წარმატებისთვის. გაუხსნიან სამკითხველო,
 წიგნთ-საცავი და თავ-პირს ამტვრევენ ერთ-ერთს
 მკითხველები:—არა მე უნდა წავიკითხო, არა მეო.
 ისეთი ტაციობაა თურმე წიგნებისა, ჟურნალ-გა-
 ზეთებისა, რომ საბრალო სამკითხველოს გამგეს
 მოსვენება აღარა აქვს და ლამის შიმშილით სული
 ამოხდეს. ასე გასინჯეთ: ამას წინად მოსვლიათ ქა-
 ლებს კინკლაობა და ქოლგებით დარევიან ერთმა-
 მეთს. შეუკრებიან სცენა, შეუძენიან დეკორაციე-
 ბი და ყოველ დღე იაფ ფასიანს წარმოდგენებს
 უმართავენ გონებით ბნელს, ღატაკს მუშა-ხელო-
 სანს ხალხს. განძრახვა აქვთ მოსპონ გორში „კარ-
 ტი“, ლოტო-ნარდის თამაშობა იმათ შორისაც-კი,
 რომელთაც ბანქობა ცხოვრების საგნად და ხე-
 ლობად გაუხდიათ.

როგორც ხედავთ, მკითხველო, დიდი ბედნიე-
 რება დასტეხია ქალაქ გორს თავზე!—არა, არა,
 მოგონილი ოცნებაა სწორედ, მოგონილი?!!

ტეტიას შვილის შვილი.

დ. ცხინვალი („სანიშაღური“ აშბები). დაბა
 ცხინვალში შესდგა განცალკევებული სან-დონის
 პარტია, რომელიც აუწყებს ყველა მამულის მყი-
 დველ-გამყიდველთ, რომ კასის სასარგებლოდ იხა-
 დონ მანეთზედ ორი შაური მყიდველმაცა და გამ-
 ყიდველმაც. ვინც ამ განკარგულებას ეურჩება სიკე-
 დილით დაისჯება. აღრესი საჭირო არ არის, რად-
 გან ყველამ იცის.

რადგან პურის ფასმა აიწია ამავე პარტიაში
 ფუთი ფქვილის ფასი 1 მან. და 40 კ. დააწესა.
 რადგან ეს ნიხრი გაჭირვებულ გლეხს შეეხებოდა
 და ბაზარს კი ვზა ვერ აუქცია ფქვილს სხვა და

სხვა მცენარეულთა ნაფქვი აურია და იმასა ჰყი-
 დის. ამაზე იტყვიან: როგორც მღვდელი მღვდელს
 თანა ერიო.

გარეულმა ცარცვა-გლეჯამ ცოტათი იკლო,
 შინაურმა კი ერთი-ორათ იმატა.

რალა წელს ცხინვალში მთავე ღვინოები დად-
 გა, რომ ბელტი ყლაპიამა და ოყებიანმა ხელადა-
 ჩარეკებს მოუმატეს. ნეტაი, თქვენის სიცოცხლით
 სასწორ-გირებსაც მოუმატებდნენ აქაური ვაჭრები,
 რომლებსაც წონა უთოოდ ნახევარზე თუ არა მე-
 ოთხედზე მაინც აკლია.

ძველი ებრაელი.

ქ. ახალციხე (პირუტყუელი საქციელი). ამას წი-
 ნედ თურმე ბორჯომიდან ეტლით მიემგზავრებოდ-
 ნენ ოთხი სომეხი და ერთიც დედაკაცი, რუსი ჯა-
 რის კაცის ცოლი. ს. აგარის და აწყურის შუა,
 ამ ვაჭბატონებს ქალი უწყალოდ უწვალებიათ...
 მერე ქალისთვის ხელ-ფეხი შეუკრავთ და ამ ორი
 სოფლის შუა დაუგდიათ. თვითონ კი წასულან
 ახალციხისკენ. ქალს ღამე ცის ქვეშ გაუთენებია
 სიცივეში. დილაზე ეს დედაკაცი ერთს თათარს
 შეუშინებია შეკრული, აუხსნია და წაუყვანია საკუ-
 თარ სახლში ს. აწყურში.

შემდებ როგორც იყო ქალი ახალციხეში წა-
 მოსულა. ყველაფერი თავის ქმარისათვისაც უამბნია,
 ქმარს იმ დღესვე ეჩივლა, სადაც ჯერ არს. საქმე
 ფიცხლად გამოიძიეს და ყველა დამნაშავე დააბა-
 ტიმრეს, ხოლო მეეტლე კი საღაც მიმალულა.
 ხსენებული ოთხი პირუტყვი კაცი გაუპატიურე-
 ბულ ქალს და ქმარს აძლევენ 500 მ. ქრთამს შე-
 სარიგებლად, რადგან ყოველ მათგანს 12 წლით
 კატორღა მოეღისთ. მაგრამ ჯარის კაცი უარზე
 დგას.—არც ქრთამი მინდა, არც იმათი დასჯაო;
 როგორათაც ჩემი ცოლი ხუთმა აწვალა ისეთაც
 მე მიუხლამო. ყველამ თავიანთი ცოლები მომგვა-
 რონ და მეც თითოს მათგანს ოთხის ჯარის კაცი
 ნამუსს ავხდი და მაშინ გავსწორდებითო.

ამისთანა არა აღამიანური საქციელი ხშირია
 ხოლმე ჩვენკენ...

ყარამანი.

ქუთაისი (აქეთური-იქითური). დადგა ვაჭრების
 სეზონი, გამოაფინეს ქუთაისის ვაჭრებმა საუკეთე-
 თესო საქონელი, აჭრელდა მალაზიის ვიტრინები,
 მაგრამ მუშტარი სად არის? დიოგენის ფანრით
 რომ ეძიოთ არ არის, არა და არა. წინა წლებში
 საქონლის გადმოლაგება; ვერ ასწრობდა კაცი,
 იმოდენა მყიდველი იყო სოფლებიდან და ქალაქი-
 დან. დღეს კი დაუკრფიათ ხელი „ხაზინებსაც“
 და მის ნოქრებს, დაუღიათ პარი და რომ შეხვალ
 კარგათ მუჯღლუგუნს თუ ვაკრავთ, თორემ ვერცკი
 გამოარკვევთ. ზოგიერთებმა ვითომ ხრიკი იხმარეს

„რასპროდაჟები“ გააღეს, მაგრამ არ მოგეცეს ჭი-
რი, არაფერმა არ უშველა. ერთ ვაჭარს რომ ვკით-
ხე: რისი მიზეზია მეთქი, მან მიპასუხა იმერულის
კილოთი და მოქანჯვით: რისი, შენი ქარიმე, და
შენ გენაცვალე დააა .. ნოქრებმა ჯამაგირები მო-
გვიმატეს ყე, ჩვენ შენი ქირიმე ეს ჯამაგირები.. ტა-
არზე „გავანაწილეთ ყე, ხალხმა რომ საძვირე დე-
ინახა ზე გვიბრუნა პირი ყე, უწინ რომ ორ და
სამ ზელს იცვლიდააა... ახლა ერთს დაჯერდა და
ჩვენ ქე დავრჩით ბრანწივით. ასეა ჩემო ბატონო
და ჩემო ხემწიფე. გამეცინა და გამოვბრუნდი.

გუშინ ერთს მდიდარს, მრავალ შენობების
პატრონს, ყოველ დღე სამი-ოთხი თუმნის მშო-
ვნელს და თვეში სამას მანეთამდის ქირების ამღებ
მემამულეს (ინტელიგენტს) შევხვდი. სალამის შემ-
დეგ ვკითხე:

— როგორ ბრძანდებით ბ-ნო დ. მეთქი.

— ლა ვქნა სენი ქილიმე, გაწილდა სწოლეთ
ცხოვლება, პულის ფულს ვეღალ ვსოულოფთ, სიმ-
სილით ვიხოცებით, სიმსილით!

გამემთხოვა და მე ამ სიტყვებით გაცვებული
ხუთი წუთი გაშტერებული ვიდექი. გავერკვიე,
ესთქვი: ფუ! ოხერო გაუმადრობავ-მეთქი! — დ
გავუდექ გზას.

ქუთაისის კლუბისტებს „პულისი“ აქვსთ გასა-
სინჯი, რადგან „კარტის“ თამაშობისაგან მეტათ
ზევით და ქვეით იწვეს „ტემპერატურა“. იქნება
„ეშმაკის მათრახის“ რედაქციასა ყავს მუქთი ექი-
მები და მიაშველოს.

ვახახაია.

მოკლედ და სსლარტად

სიღნაღი. ხმა დადას ვიოამ აწ განსვენებულის აფ-
თექარის ლუკა მოსულოვის „პრემიო ნასლენიკი“ ახა ვაჩ-
ნაძეაა.

ბაქო. აქაურ ქართველებმა გადასწყვიტეს, მემრის
„ქართული საღამო“ გამართონ იაპონურ ენაზედ, რადგან
წლეულ ცოტა არ იყოს „ქართული“ საღამო უფრო გასა-
გებ ენაზედ იყო — „რუსულათ“.

იქიდანვე. ქართველ საზოგადოების თეატრი ამ ქამად
კოტე მესხის ხელშია იმ პირობით, რომ ქართული წარ-
მოდგენები არ იმართებოდეს, დირექტორს გადაუწყვეტა
„სინემო-ბომონით“ რაკი მოაბეზრებს თავს, „კუკოლნი“
კომედები გამართოს.

ბაკურციხე. აქაურნა ერთმა სოფლის მამამ, აწ გადა-
ყვანილმა უშველებელის პრიზოვორით სხვა სოფელში*).

*) უბედურება არის ღმერთმანი, ნუ თუ მღვდელს კი
არ შეუძლიან არშიყოფა და სახლში შევარდნა? ნუ თუ ის
კი ცოდვის შვილი არ არის?!? შენ. მილდისასი.

წყალკურთხევა დღეს იერიში მოუტანია ადგილობრივ მღვ-
დელზედ. სოფლის ბიჭ-ბუჭები აუღელვებია, მაგრამ საშინე-
ლი მარცხი მოსვლია. ხმა დადის ეხლა ეს სოფლის მამა თუ
მე ლამაზ ქვრივების რაზმს ადგენს. ბრძოლა აუცილებელია.

ელიზო.

ხონი (სასწავლებლის რედაქცია).

— ერთი ამიხსენ, ნინუცა,

შენი ქირიმე შენია...

სად არის ჩვენი როიალი,

ნატა ვის სად დარჩენია?

„განა არ იცი, რომ მკითხავ?

სასკოლო საკუთრებასა

პირად საკუთრებად სთვლიან,

როგორც სურს იმათ ნებასა...

ერთ დროს ერთს ჰქონდა, მერე სხვას,

დღეს კი მესამეს რგებია,

სკოლისათვის შეძენილი

კერძო პირებს შერგებია!..

— თუ აგრეა, ისეც ის სჯობს

ჩვენ მივმართოთ „ნიშადურსა“,

უწეს-რიგო ქცევისათვის

ის შეუთვლის საყვედურსა...

ნეპონიმე.

დავიწყებულ ხაშურ-სურამს.

ხაშურ-სურამი გლოვობენ

არცინ არ მოგვიგონაო,

ვიზე ნაკლებად ვქეიფობთ,

ხალხმა რად მიგვატოვაო!

იყო დრო როცა გატაცებული

ხაშურ-სურამი „დემოკრატიზდა“

და აღზნებული „ახალ ამბებით“

ახალგაზღობაც „დემოკრატიზდა“

რომ შემცდარიყო, — გაცნობილისთვის

დაგესვა კითვა: „შენ რა გვარი ხარ?“

— „სისულელია“! — მოგცემდენ პასუხს

„მე ჩისტოკროვნი დემოკრატი ვარ“.

მაგრამ წავიდა ის დრო ნეტარი

(რალა თქმა უნდა, აქაურთათვის!)

და ერთ დროს „პერვი დემოკრატიები“

სულ სხვასა მღერენ ეხლა თავისთვის.

ნუნუას სვამენ ახალგაზღები,

ზურნას უკრავენ „დემოკრატიები“

და მათი ნახვით, ნერწყვ-მორეულნი

არც ხელს აკლებენ მათი მამები.

მაგრამა, მაინც „კრუჟოკის“ მართვას

არ ანებებენ ერთგულნი თავსა,

ხოლო შიშითა, რომ არ გაიგონ


„კრუჟოკს“ არქმევენ „ლატარისა“.

რა ნივთი გინდა აქ არ გასაღდეს



პირახელ მოკამათეს **ეროვნული გიგლიოთეკა**

Въ чернилахъ вашихъ, господа,
И желчи ѣдкой даже нѣту—
А просто грязная вода!..



ერთხელ ეშმაკი, ურცხვი და მანკი
მწვავ „ნიშაღურზე“ დასკუპილიყო,
მაგრამ უწმაწურს, დაეწვა რა კი
კულისა რიკი, ბატყარცნილიყო.

ძველი საათი, თეფში, სტაქანი,
სამოვრის ყურის ჩამონატეხი,
ქვაბი, ან კიდევ თიხის ქოთანნი.

მათ თავსჯდომარე მოხერხებული,
დახზავს „სპისოკს“ და დაატარებს
იმედი გქონდეთ ხახურ-სურამში

ხელის მომწერლებს ბევრს მოაგროვებს

„დემოკრატ-დემოკრატობას“

ამაზე სცვლიან საწყალნი

და აბა ან სხვა რა გზა აქვთ.

გულს ვერ ირთობენ ბეჩავნი.

მეზობელი მღვდლის შვილი.

გ ა მ ო ც ა ნ ა

(ჩხარელებისათვის)

გამოცანას მოგახსენებთ, ძნელი არაფერიაო,
თუ გაქვთ ოდნავ მიხვედრობა, ახსნით უეჭველიაო:
სოციალდემოკრატიზმდა, დიდად მოქონდა მას თავი,
კომიტეტის ამორჩევით ერთს დროს იყო ასის თავი,
კრებებსაც ბევრს ესწრებოდა, სიტყვებსაც არახუ-
ნებდა

თავის „რეჩით“ პრანქვა-გრეხით ბევრსაც თავს კი
აწონებდა

ეხლა მღვდლობას ეწაფება, ეს სამშობლოს „კარგი
შვილი“

ბევრი ნახა, ბევრსაც ნახავს, კაცი არის გამოქნი-
ლი!

ოფოფი.

„კულა ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუ-
ზებს უფერებდაო“. სწორედ ასე იქცევა წარსულ
კვირას გამოსული რუსული გაზეთი „Наша Жизнь“,
რომელიც ყარბი-გელეიშვილის ცხვირსახოცის მა-
გიერებას ეწევა..

მართალია „Н. Ж.“ მესვეური საკმაოდ შუბლ-
გარეცხილია, მაგრამ მაინც რაც კი სიმურდლე
აქვს გულსა და სულში, მური და ქუქყი, წვინტ-
ლი და დორბლი, ყოველივე ეგა თავის გაზეთი-
ცხვირსახოცში აქვს მოთავსებული..

ვილაც ყალთაბანდი „Звонарь“-ის ნილაბით
(თუმცა გრძელ ყურებზე მაშინათვე ეტყობა თუ
რა პირუტყვი ბრძანდება) მოგვსდგომია და სულ
„ბრეს გვადენს“.

სწუხს და გოდებს, რომ „ნიშაღურმა“ გამო-
აშკარავა „ანის“ ფსევდონიმი და ჩვენც შავრაზ-
მელს და პროვოკატორს გვიწოდებს.

ცოდო გამოტეხილი სჯობიან. „ანის“ ფსევ-
დონიმის გამოაშკარავება, მის პატრონის განსა-
კუთრებული მდგომარეობის გამო, დიხაც უზერ-
ხული იყო და აკი დროზედ შევსწყვიტეთ მასზე
კარიკატურების ბეჭდვა, თუმცა ვარწმუნებთ ყვე-
ლ- ურწმუნოთ, რომ ჩვენ არც მაშინ ვიცოდით
და არც დღესაც გაგვეგება, თუ რა ვნება და ზიანი
მოელოდა ან გაზეთს ან თვით „ანის“ პატრონს
ფსევდონიმის გამოაშკარავებით...

ვსთქვით ჩვენ ვერ მოვიქცით შესაფერის ტაქ-
ტიკით და მაგისათვის საყვედურიც გვიკისრნია,
მაგრამ, რომელ ზულუსებური ტაქტიკაა, სადაური
ბუშმენური რაინდობაა ყარბი-ზვანარ-გელეიშვილის
დანოსი-დაბეზდება, როცა იგი ჩვენზე სწერს, რომ
„Въ послѣднее время стали играть очень
важную роль въ партіи грузинскихъ федера-
листовъ და სხვ.“

ვინ მოგახსენათ, რომელ „იავკით“ ამტკიცებთ
ჩვენს ფედერალისტობას? სადა და როდის, სიტყ-
ვით ან კალმით ვალიარეთ ჩვენ ჩვენი ესფერობა?!

ეს პროვოკაცია კი არა—შეტია, ლიტერატურუ-
ლი არამზადობაა!

ყველა-ყველა, მაგრამ როგორა ბედავს და
ხმას იღებს ზნეობრივ სისუფთავეობაზე და ეტიკა-
ზე ყარბი-ზვანარი, ის ყარაბი, რომელსაც კვირა-
ში შვიდი პარასკევი გააჩნია, კაქკაქივით ხან ერთს
ორგანოში წრიპინებს, ხან მეორეში და ყველგან

კი ლიტერატურულ ქამელეონად არის ცნობილი! .

ჩვენ გვესმის ის უზომო სიმწარე და უკურნებელი ქრილობათა ტკივილი, რომელიც აგრძობინა „ნიშნადურმა“ „ქართველ მარქსისტებს“ და მათს ლიდერ-იდეოლოგ - დემეგოგებს. ოღონდაც, ჩვენ არასოდეს არ გვაბატიებენ იმ მარჯვე და დროზედ მოსწრებულ ოპერაციას, რომელიც „ნიშნადურმა“ მოახდინა ქართველი ხალხის ერთი მცირე ნაწილის გამოსაბრუნებლად... „ნიშნადურმა“ ბევრი რამ გამოაშკარავა და კიდევ უფრო მეტს გამოაქვეყნებს ისეთს, რომელიც უფსკრულ-სამარეს გაუთხრის ჩვენებური ესდეკების უკულმართ მოქმედება-საქციელს. და ამიტომ ყოველივე თქვენი პირახეული ლანძღვა-გინება, ბრაზ-მორეული კილეა და კიცხვა, დაცინვა, სუსხი თუ მუქარა, მსჯავრი თუ სხვა ათასი ცილის წამება და ოინები თქვენის მოზღვავებულის სიბრაზისა, ჩვენთვის უმნიშვნელოა და ვერც შეურაცხვეყოფს, სახამ ჩვენ ფაქტებს ფაქტებსავე არ დაუპირდაპირებთ, ჩვენს საბუთებს საბუთებით-ვე არ გააბათილებთ, ჩვენს გულწრფელობას გულწრფელობას და სულის სიწმინდეს არ დაუყენებთ.

მანამ კი ჩვენ ისე განვაგრძობთ, როგორც დავიწყეთ, ისე ვივლით, როგორც გვივლია!

რაც შეეხება თქვენს ვაკვირვებას, თუ რად არის რომ „г. Гуниа въ грузинскомъ обществѣ считается прогрессивнымъ литературнымъ работникомъ и общественнымъ дѣятелемъ“—ეგ თქვენი უცოდინარობის, სულ მოკლეობისა და შურის ბრალა. ნათქვამია: თავის ქება მწვანე კიტრად არა ღირსო და ჩვენც ამაზე აქ არ გამოგეკამათებით, ვიტყვით მხოლოდ რომ ყარბი-ზონარებს და ხხვა მათთანთ იმდენი ჯაგარი, ბეწვი და ბალანი არა აქვთ თავსა და ტანზე, რადენიც ჩვენ ჩუმად და გულწრფელად გვიშრომნია და გვიმუშავნია, რადენი უძილო ღამეები გაგვითენებია იმ საზოგადოებრივ ხასიათის საქმეებზე, რომლებზედ ზრუნვა და სამსახური ჩვენთვის დროს და გარემოებას ურგუნებია. და ამ მცირე, მაგრამ გულწრფელი და უანგარო სამსახურისათვის ქართველ საზოგადოებას ჩვენთვის თუ უკუთნებია მცირე, მიკროსკოპიული სიყვარული და პატივისცემა—ეგ თვით საზოგადოების სინიდისის საქმეა—და მიტომ ამათ თქვენი ცდა და დასისინება. თქვენ იოტისოდენას

ვერას დაარღვევთ იმიდან, რაც ჩვენ შეგვბეჭდა დაეს ჩვენის მცირე ხნის მოკირნახელობის დროსა

ვიმეორებთ, ჩვენ ისე ვწირავთ, როგორც გვიწირავს, რადგან პოეტისა არ იყოს:

Когда твои враги, какъ стая жадныхъ псовъ
На части рвутъ тебя, ругаясь надъ тобою,—
Дай скромно стать и мнѣ въ ряды твоихъ бойцовъ,
Народъ, измученный судьбою!

რედ.



ნ ა წ ყ ვ ე ბ ი

გული მოუცავს სევდასა,
გონება გაბრუებია,
ძარღვი აღარ სცემს და ძალა
მიმქრალა მისუსტებია.

ჩრჩილი და მატლი უდროოდ
შემომჩვევია ქირადა,
სიცოცხლესა ვგმობ, სიკვდილს კი
ველი და ვნატრობ ხშირად!..

მეგობრებს მოვძულებულვარ,
ზიზლით მიტკერის მშობელი...
დასასრულს სიცოცხლისასა
მშვიდად შევხვდები... მოველი!!

ნელი.

მ ი რ ა

(ბაირონის „სარდანაპალიდგან“)

ესლა მშვიდობით ქვეყანავ!
მშვიდობით ჩემო სამშობლო მხარევ,
მშვიდობით მიწავ იონიანთა
უკუნისამდე, გთხოვ მაპატივე!
შენ სილამაზეს ველარ იხილავს
აწ ჩემი თვალი. იყავ ყოველთვის
მშვენიერი და თავისუფალი!
მტარვალთ მონობას, დამცირებასა
და ყოველივე უბედურებას
დე, ავაშორონ ყოვლის შემძლენმა,
ვით ჩემი ლოცვა უკანასკნელი
აგრეთვე აზრნი შენსკენ მოჰქრიან
გარდა ერთისა... შემდეგ ყველანი
განუყოფელად შენ გეკუთვნიან!

ა.—

მედიონეგ კაქტეტკშიძე

რედაქციისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ბ მ რ ი

(რუსულიდან)

ხალხის მოსისხლე მტერი, შიმშილი, ქვეყნად, ვითა ბრმა, დაეხეტება და მწუხარების ჩაქუჩით ხელში მის კარს გვაყენებს ჩვენ გაჭირვება.

იგი ბოროტი, დაუნდობელი, დღე-ღამე გულში სცემს იმ ჩაქუჩს ერსა. მაშ გაუწოდეთ ხელი უბედურთ, იმ წყევლისგან დაჩაგრულებსა.

ა. —

შელლიდან

დე, შესწყდეს მღერა ჰარმონიული, ციური ხმები კვლავ მესსომება; დე, დასკენს ია, მიბნედილ უწნწში სურნელი დიდხანს შეინახება.

ტურფა ყვავილებს რა მოჰკრეფავენ, მშვენიერ კონად ერთად შეტკრავენ; მეც თუმც დაგშორდი, მაგრამ ეგ სახე მულამ თანა მდევს, გულს ჩავიშარებ.

ა. შ — ლი

(რუსულიდან, თავისუფალი თარბმანი)

მინდა მოვკვდე გაზაფხულზე, როცა ვარდი გადიშლება, და ცისკარის ნათელ სხივზე ეს ნატვრა ამისრულდება:

განთიადი ბნელის ნაცვლად ქვეყანასა რომ უფლობდეს, აღვიძებდეს მძინარეებს, მთელს სამყაროს ნათელს ჰფენდეს.

მთლად ბუნება შეჭხაროდეს ხალხთ ერთობას, ძმობას სრულსა, მეუფებას უმკვიდრებდეს ძალის ნაცვლად—სიყვარულსა!

თ. მაგმაძე.



ზოგერთი ჩვენი თანამშრომელნი და თანამგროძნნი გვისაუბრებენ: რად აგვანებთ ჩვენ მიერ გამოგზავნილ მასალების ბეჭდვასა და სხვა.

საქმე ის არის, რომ ამ ყაზად რედაქციაში დიდ ძალი მასალები მოგროვდა, რომლების დაბეჭდვა ერთ ხანად შეუძლებელია და ამიტომ უზიარატესობა ეძლევა იმ მასალებს, რომელთაც დროებითი ხასიათი აქვთ და სხვა. რა თქმა უნდა. დრო გამოშვებით სხვა მასალებიც დაბეჭდება, თუ კი საზოგადო ინტერესს და მნიშვნელობას არ აქმნიან მოკლებულნი.

ვინც ერთი წლით „ნიშადურს“ გაიწერავს, ყველას უფასოთ გაეგზავნებათ „ნიშადურის კრებული“ და აგრეთვე ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი და ყველა ძველი №№-იც.

იყიდება წარსული წლის „ნიშადურის“ სრული კომპლექტი სუფთად დაკაზმულ ყდაში. ფასი 2 მან.

წერ. კით. საზ. წიგნ. მაღ.


პასუხი ბ. ნ. ლორთქიფანიძეს

წავიკითხე დღეს ბ. ნ. ლორთქიფანიძის წერილი, სახელად „უკუღმართი ლექტორები“ („ნიშ.“ №34), სადაც ავტორი ჰკიცხავს იმ ქართველებს, რომლებიც რუსულ ენაზე კითხულობენ ლექციებს, მათ შორის ამ სტრიქონების დამწერსაც რა საკვირველია, თავიდან ბოლომდის წავიკითხე ეს წერილი და სწორე მოგახსენოთ, სევედა მომეფინა ბუღს: იგი არ წარმოადგენს რაიმე საბუთიან მსჯელობას, არ ჰგავს ისეთ ნაწარმოებს, სადაც მწერალი აზროვნების დინჯ მანქანას ამოძრავებს თქვენ თვალთა წინაშე, თვითონაც ფიქრობს და მკითხველსაც დააფიქრებს ცხოვრების საყურადღებო მოვლენათა ასახსნელად.


ნიშანში აღებულ მოვლენის შესახებ არსებითად იგი თითქმის დუმილს არჩევს და ამ მხრივ მოგვაგონებს იმ სულიერ მოძღვარს, რომელიც სახარებას არ უკითხავდა თავის მრევლს შემდგომის მოსახრებით: „თუ უკვე წავიკითხული აქვთ, რა საჭიროა ხელმეორედ წაუკითხო, და თუ სულა არ წაუკითხავთ, ღირსნიც არ არიან, რომ წაუკითხო.“

ავტორს ჩამოთვლილი აქვს მხოლოდ რუსულად მკითხველ ლექტორების გვარები (მათ შორის ჩემიც), შემდეგ იხსენიებს „ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და სხვა და სხვა ლენერლებს, რომელთაც როგორც პირზე ისე გულშიაც ლალატ ვერ სწავებს ავტორი ასე ადვილად აღამიანს, — სამშობლო ჰქონდათ, მაგრამ ხელით კი საით იქნევდნენ ხმაღს—არ ახსოვს“. შემდეგ ბ. ლორთქიფანიძე ჰბძანებს ჩვენზედაც, რომ ვერც ერთს ჩვენთაგანს ვერ დასწამებს გან-

კლასთა გათანასწორება



საინტერესო გამოცანა რეწული გიგლიოთიქა



ცოლი. რას სჩადიხარ?

ქმირი. არაფერს, ჩემო კარგო, მე სოციალისტი ვარ და „კლასთა გათანასწორებას“ ვცდილობ!..

ეს ნახატი ისე დაკეცეთ, რომ გამოვიდეს საფრანგეთის სამინისტროს პრეზიდენტის კლემანსოს სურათი.

გებ ლალატს, სურვილს სამშობლოს გადაგვარებისას, რომ ჩვენი უცდლომა მხოლოდ ეხლანდელი დაბნეულობის ბრალია“; ამის შემდეგ ბძანებს, რომ „ეროვნული თვით-შეზნება, ეროვნული კულტურა და ეროვნული მთლიანობა ქართული ენის განმტკიცებას და შესისხლზორცებას თხოულობს“... ბოლოს კი ბვადრთხილებს, ჩაუკვირდეთ, ვის პროგრამას ვაგრცელებთ, ვის ვუწვევთ სამსახურს.“

მორჩა და ბათავდა. ეს ვახლავთ ჩვენზე ბ. ლორთქიფანიძის მედგარი იერიშის შინაარსი.

მერწმუნეთ, ბ. ლორთქიფანიძე: „ეროვნული თვით-შეზნება, ეროვნული კულტურა“ ირღვევა არა ჩემგან ან სხვებისგან რუსულ ენაზე მაგალითად, დავით კლიაშვილის ან სხვა მწერლების საყურადღებო აზრების ვაგრცელებით, არამედ ჩვენ ხალხში თქვენი ქართული წერილის მგზავს ნაწარმოების გასაღებით. იგი არც ჩვენ, „გზა-დაბნეულებს“, გვინათებს გასავალ გზას არც თქვენ მაყურებლებს უზიარებს რაიმე სად აზრებს, და მხოლოდ ჰყვებას ძველებურ-ჩვენებურ გრძნობას, რომელსაც „კულტურასა და თვით-შეზნებასთან“ არაფერი საერთო არა აქვს, სახელდობრ—აზროვნების სფერაში ვარგენულ—ვაქვაცურ იერიშის მოწონებას.

როცა მე ტფილისის უმაღლეს კურსებზე მივდიოდი კლიაშვილის შესახებ რუსულად ლექციის წასაკითხად, ვგულისხმობდი არა ქართულ აუდიტორიას, რომორც ეს ბ. ლორთქიფანიძეს ჰბონია, არამედ ისეთ დაწესებულებას, სადაც ტფილისში მცხოვრებნი სხვა-და-სხვა ერთა განათლებულნი წარმომადგენლნი ერთურთის ცხოვრების ვითარება-

სა და მწერლობას ეცნობიან. კავკასიის შესასწავლად დაარსებულ კურსებზე რუსული ენა შემოღებულია, რომორც ერთნაირად გასაგები ქართველ-რუს-სომეხ-თათარ-ეზრეულ ინტელიგენციისთვის. თუ დღეს ქართულ მწერლობის შესახებ ლექციებზე უმრავლესად მხოლოდ ქართველნი დადიან, ეს უძრავობის, სხვა-და-სხვა ერთა ერთურთის-მიმართ ძველებური ბულ-გრილობის ბრალია. ამ სამწუხარო მოვლენასთან ბრძოლა საჭიროა არა რუსულ ლექციების განდევნით, არამედ რუსულივე და სხვა ადგილობრივ პრესის საშუალებით, საზოგადოდ ადგილობრივ სხვა-და-სხვა ტომთა ინტელიგენციის ყოველ მხრივ დაახლოვებით, ერთურთის მიმართ ინტერესის ვალეიებით, და არა, ლოკოკინას მგზავსად, თავის პაწია ეროვნულ იდეაში შექრომით და შიგ თავ-მომწონე მარტო ობით.

როცა ნასწავლი ქართველები ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ—ეს გადაგვარების ნიშნებია; მაგრამ როცა იგივე ქართველები-სადმე რუსულ ენაზე ლექციებს კითხულობენ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი არა მარტო ქართველ, არამედ სხვა და სხვა ტომთა წარმომადგენლებს ჰბულისხმობენ თავის აუდიტორიაში.

ამგვარი მოვლენა სასურველია და სასარბებლო: იგი მოასწავებს ადგილობრივ სხვა და სხვა ერთა წარმომადგენლების მიერ ერთურთისადმი გულის პასუხის ვაზიარებას ყველასათვის გასაგებ ენაზე; იგი ნიშნავს აზროვნების მოსურნე სულდგმულთა თანდ-თან ერთმანერთთან შეკავშირებას. რაიცა გადაგვარების გზაზე კი არ დააყენებს ამა თუ იმ ადგილობრივ ერს, არამედ თვითველ ერს, თავის თავს, თავის სულიერ ძალ-ღონეს უფრო ნათლად შეავგნებინებს და მეზობლებსაც უფრო ვააცნობს და დაუკავშირებს.

ილია ნაკაშ-ძე.

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.